

შპს „ჯოს“

ფინანსური მდგომარეობა 31.12.2018წ.

მდგომარეობით

		საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო 31.12.2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	49 260	30396
სავაჭრო მოთხოვნები	6	10 271	18330
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	7	18 548	769741
მარაგები	8	-	0
- მზა პროდუქცია/საქონელი			
საინვესტიციო ქონება			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	9	85 258	3383
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
საგდასახადო აქტივი		-	
სხვა არამატერიალური აქტივები	10	3 444	2732
ძირითადი საშუალებები	11	8 236 120	6728268
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		8 402 900	7552850

ვალდებულებები

ფინანსური/ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულება		-	
სავაჭრო ვალდებულებები	12	142 286	22379

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			0
საგადასახადო ვალდებულებები	13	141 897	138098
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	14	3 405 217	2923281
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		3 689 400	3083758
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	15	4 050 354	4050354
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	16	663 146	418739
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		4 713 501	4 469 093
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		8 402 900	7 552 850

შპს „ჯღს“-ის დირექტორი:
ლ. ნადირაშვილი



შპს „ჯლს“

საქმიანობის შედეგები 31.12.2018 წ.

მდგომარეობით

		საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	P17	2150441	
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან		2150441	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	
სხვა			

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საწყისი მარაგები		0	
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები		0	
საერთო მოგება		2150441	2 150 441

სხვა შემოსავალი		0	
დასაქმებულთა ანაზღაურება	P18	-242486	
ცვეთა და ამორტიზაცია	P19	-251085	
საპროცენტო შემოსავალი:	P20	1627	
საპროცენტო ხარჯი :	P21	-371887	
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	P22	-213788	
სულ საოპერაციო ხარჯები		-1077618	

საოპერაციო მოგება		1072822	
--------------------------	--	---------	--

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			

მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	P23	-110	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	P24	-111	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1071598	
მოგების გადასახადი		132108	
მოგება/(ზარალი)		939490	

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		939490	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		4469093	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-694737	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-345	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		4 713 501	

შპს „ჯგლს“-ის დირექტორი:
ლ. ნადირაშვილი



შპს „ჯელს“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

„ჯელს“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 27/03/2014 ს/ნ 406115350. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზირი #25, ფაქტიური მისმართი ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზირი #25. კომპანიის დამფუძნებლები არიან ფ/პ არჩილ მაზიაშვილი (პ/ნ 01030006482) -50%, ფ/პ ვიქტორია გამმერ (პ/ნ 01297001967) -50% . კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკუთარი ან იჯარით აღებული საცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა -ნაგებობები

5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

15- 20პროცენტი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი

15-20 პროცენტი

სატრანსპორტო საშუალება

15-20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი

ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების

დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოების (განმარტებულია მე-19 შენიშვნაში) ვალდებულების განსაზღვრისას საწარმოს ხელმძღვანელობამ წინასწარ უნდა შეაფასოს ხელფასის ზრდა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, დისკონტირების განაკვეთი მომდევნო ხუთი წლისთვის, რომელიც გამოიყენება მიმდინარე ღირებულების გაანგარიშებისათვის და ასევე მომუშავეთა რაოდენობა, რომლებიც, სავარაუდოდ, საწარმოს დატოვებენ გასამრჯელოების მიღებამდე.

4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
ფული საბანკო ანგარიშებზე	30396	49260
ნაღდი ფული სალაროში	0	0
სულ	30396	49260

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულება.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
საბაჟო მომსახურება	18330	10271

სულ	18330	10271

7. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	767240,58	14773
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2500	3775
სულ	769741	18548

8. მარაგები

კომპანიას 31.12.2018 წ. მდგომარეობით გასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო მატერიალური მარაგები არ აქვს.

9. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
მოთხოვნები სანარკოს პერსონალის მიმართ	191	30893
სასაქონლო--მატერიალური მარაგი	3192	45212
წინასწარ გადებული ხარჯები	0	9153
სულ	3383	85258

10. სხვა არამატერიალური აქტივები

სხვა არამატერიალური აქტივი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
არამატერიალური აქტივები	3393	4769
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	(661)	(1325)
სულ	2732	3444

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიწა 2110	შენობა- ნაგებობები 2130/2140	მანქანა- დანადგარები 2150	ოფისის აღჭურვილობა 2160-2170	ტერიტორია 2121	სულ აქტივები
თვითღირებულება						
01.01.2017	2207200	4 050 564	31 614	19 403	73 764	6 382 545
შემოსვლა	749381,68	75958	46 853	2 576	62 412	937 181
გასვლა/ჩამოწერა	0	15 095	-	873	-	15 968
31.12.2017	2956581,68	4 111 427	78466,86	21106,71	136176,24	7 303 758
შემოსვლა	0	1 654 596	14 684	34 639	54 354	1 758 273
გასვლა/ჩამოწერა	0	-	-	-	-	-
31.12.2018	2956581,68	5766022,6	93150,47	55745,78	190530,11	9 062 031
დაგროვილი ცვეთა						
01.01.2017	0	(360 081)	(8 162)	(3 334)	(1 227)	(372 804)
პერიოდის ცვეთა	0	(188 235)	(6 806)	(2 542)	(5 613)	(203 196)
გასვლა/ჩამოწერა	0	298	-	212	-	510
31.12.2017	0	(548 018)	(14 968)	(5 664)	(6 840)	(575 490)
პერიოდის ცვეთა	0	(230 765)	(9 988)	(6 433)	(3 234)	(250 420)
გასვლა/ჩამოწერა	0	-	-	-	-	-
31.12.2018	0	(778 783)	(24 956)	(12 097)	(10 074)	(825 910)

საბალანსო ღირებულება						
ბალანსი 01.01.2017	2207200	3690483	23452	16069	72537	6009741
ბალანსი 31.12.2017	2956582	3563409	63499	15443	129336	6728268
ბალანსი 31.12.2018	2956582	4987240	68194	43649	180456	8236121

12. სავაჭრო ვალდებულებები

	31.12.2017	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	0	94733
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	7340	12684
მიღებული ავანსები	15039	34869
სულ	22379	142286

ფინანსური იჯარის ვალდებულება კომპანიას არ აქვს.

13. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად

	31.12.2017	31.12.2018
საგადასახადო ვალდებულებები	138098	141897
სულ	138098	141897

14. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2923281	3405217

სულ	2923281	3405217

15. საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
სანესაბამო კაპიტალი	4050354	4050354
სულ	4050354	4050354

კომპანიამ ფუნქციონირება დაიწყო 2014 წლის 27 მარტს, საწესდებო კაპიტალით 4050354 ლარი.

2018 წელს შპს „ჯელს“- მ დივიდენდი გამოაცხადა და გადაიხადა 694737 ლარი.

16. გაუნაწილებელი მოგება / ზარალი

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
მოგება/ ზარალი	418739	663146
სულ	418739	663146

17. ამონაგები

ამონაგები 2018 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
საოპერაციო შემოსავლები		2150441

სულ	0	2150441
-----	---	---------

18. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
შრომის ანაზღაურებაზე დანარიცხები		(27309)
შრომის ანაზღაურება		(215178)
სულ	0	(242486)

19. ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
ცვეთა და ამორტიზაცია		(251085)
სულ	0	(251085)

20. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი 2018 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
ბანკის პროცენტი		1627
სულ	0	1627

21. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018

ოპერატიულობის %		(615)
საპროცენტო ხარჯი 2 228 000		(227228)
საპროცენტო ხარჯები		(144043)
სულ	0	(371887)

22. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო

ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2018 წლის
მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
რეალიზ.საქონ.თვითღ.(სავაჭრო სანარგ-თვის)		(4550)
მიმდინარე რეკონსტრუქციის სხვა ხარჯი		(1025)
კომუნალური ხარჯი		(113325)
ავტოსამრეცხოს ხარჯი		(142)
ავტოსამრეცხოს ხარჯი		(12000)
აუდიტის მომსახურება		(745)
ბანკის საკომისიო		(2760)
დაზღვევა		(1910)
დასუფთავების ხარჯი		(500)
თარჯიმნის მომსახურება		(90)
კომპიუტერის ხარჯები		(1467)
პოლიტიკური ფირი		(50)
რეესტრის ხარჯი		(1528)
რეკონსტრუქცია		(4500)
საინჟინერო ძირი		(589)
საკანცელარიო ხარჯი		(579)
საოფისე ინვენტარი		(21)
სატრანსპორტო მომსახურება		(3146)
საშუამავლო მომსახურება		(61665)
სხვა საგადასახდო ხარჯი		(843)
სხვა საერთო ხარჯი		(846)
ტერიტორიის ხარჯი		(110)
ფოსტის ხარჯი		(397)
ყავის კაფსულა, შაქარი		(1000)
შემოსავლების სამსახური, ხარჯი		
სულ	0	(213788)

23 . წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან
 წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან 2018 წლის
 მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(110)
სულ	0	(110)

24. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)
 სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი): 2018 წლის 31 დეკემბრისათვის
 შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად

	31.12.2017	31.12.2018
სახაზინო კოდის ნაშთის გასწორება საბაღისადად ბარათის საფუძველზე		112
უსასყიდლოდ მიწოდება		7746
არასაოპერაციო ზარალი		(1)
გაცემული საბანკო ბარანტი		(8972)
სულ	0	(1114)

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არსებითი ხასიათის მოვლენები და გარემოებები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ
 პერიოდში არ ფიქსირდება.

26. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას დაკავშირებულ მხარეთან ოპერაციები არ განუხორციელებია

27. ფინანსური ანგარიშების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2019 წლის 15 სექტემბერს.

შპს „ჯღს“-ის დირექტორი:

ლ. ნადირაშვილი

